ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 25 თებერვლის N02-49 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის N2 ოქმი

(კონკურსი N1501)

ქ.თბილისი **13.03.2015**

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 25 თებერვლის N02-49 ბრძანებით განსაზღვრული „ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქ.თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად შექმნილი კომისიის“ მეორე სხდომა ჩატარდა 2015 წლის 13 მარტს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდ“-ში, შემდეგ იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N 48.

სხდომას ესწრებოდნენ 2015 წლის 25 თებერვლის N02-49 ბრძანებით განსაზღვრული „ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქ.თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად შექმნილი საკონკურსო კომისიის“ შემადგენლობის შემდეგი წევრები:

კომისიის თავმჯდომარე: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის“ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის სამსახურის უფროსი - **ნინო კორძახია;**

კომისიის წევრი:ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **მერაბ ფოლადაშვილი;**

კომისიის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის“ არქიტექტორი - **ნინო ნოზაძე;**

კომისიის წევრი: ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის საინჟინრო შეფასებების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **გიორგი მაღრაძე;**



აპარატის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი **-სალომე სირბილაძე.**

აპარატის წევრი: ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდის" იურისტი - **სალომე სართანია;**

სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება ეთხოვა ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს იურისტს - **სალომე სართანიას.**

დღის წესრიგი:

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს თავმჯდომარის 2015 წლის 25 თებერვლის N02-49 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავებაზე (პროექტი) დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესასყიდად გამოცხადებულ N1501 კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების გახსნა.

კომისიამ განიხილა:

1.კომისიის თავმჯდომარემ - ნინო კორძახიამ განაცხადა, რომ კონკურში წარმოდგენილ იქნა ერთი კონკურსანტის - შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი"-ს საკონკურსო წინადადება დალუქულ კონვერტში, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი.

2.შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი"-ს საკონკურსო წინადადების დალუქული კონვერტის გახსნა მოხდა სხდომაზე და ესწრებოდა შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი"-ს ტექნიკური მენეჯერი - მამუკა კაცაძე. დამსწრე წევრებმა დააფიქსირეს, რომ საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი იქნა სამ ეგზემპლარად, 1CD და საბანკო საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3.აპარატის მიერ განხილულ იქნა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებთან და წესთან".

კომისიამ დაადგინა:

კონკურსანტის - შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“-ს მიერ N1501 კონკურსში წარმოდგენილი მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მონაცემები შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით განსაზღვრული მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებს.

ხელმოწერები:

კომისიის თავმჯდომარე - ნინო კორძახია

კომისიის წევრი- მერაბ ფოლადაშვილი

კომისიის წევრი - ნინო ნოზაძე

კომისიის წევრი - გიორგი მაღრაძე

აპარატის წევრი-სალომე სირბილაძე

აპარატის წევრი - სალომე სართანია